სებმა მწვადის ფაშობა გააწყვეტეს.

ცხვირკაუტამ, თავისი უშიშრობა რომ
დაემტკიცებინა, კენჭისყრა შესთავაზა
ამხანაგებს; ვისაც კენჭი ერატებოდა, თქვა
მან, აგერ, იმ მითკვებულ სასაფლაოზე
წავიდეთ, დაწითოს ცეცხლი, მწვადი შე-
წვას და აქ მოგვაროვანს. სასაფლაო
ნახევარი კილომეტრზე იქნებოდა მწყემ-
სების ბინიდან.

დაეთანხმნენ, წილი ყარეს. კენჭი შაქ-
როს ერგო. მშვილად აყრიდა გულა-ნა-
ხადი და სასაფლაოსკენ გასწავა.

ცოცა ხნის შემდეგ, ჩვენს მარჯვნივ,
სიხნულში ვივება კოცონი ახრიალდა.
მწყემსები თვალ-ყურს ადევნებდნენ კო-
ცონს, რომელიც თანდათან მცირდებო-
და და ნაკვერჩხლებოდა. ბოლოს
ძლივს შესამჩნევი გახდა.

— ექი! — უკმაყოფილოდ ჩაიღუღ-
ღუნა ცხვირკაუტამ, — ცეცხლი სასაფ-
ლაოზე კი არა, ქვემოთ, გზაზე გაურჩადე-
ბია...

მწყემსებმა იუარეს — არაო.
თუ არა და — დაგიმტკიცებთო, თქვა
ცხვირკაუტამ და სიხნულს შეტრია.

ამასობაში, სასაფლაოზე, სამარის
გვერდზე წახრილ ღოღთან ჩაუცქეპული
შაქრო შამფურს ატრიალებდა. ქარი



უცებ სამარის ღლეს უკანიდან გამოჩნდა ვიღაცის ხელი...

ქროდა და მთელ სასაფლაოს ეფენებო-
და მწვადის სურნელი.

საქმე დასასურს უახლოვებოდა,
როცა, უცებ სამარის ღლეს უკანიდან
გამოჩნდა ვიღაცის გამოშვრილი ხელი.
შეკრა შაქრო. მაგრამ გაურკვეველი
შიმი უშალ დასძლია. წააძრო შამფურს
შემწვარი ხორცის ნაჭერი და გამოშვე-
რილ ხელისგულზე დაღო.

ხელისგული გაქრა, მაგრამ იმწამსვე
გამოჩნდა — უკვე ცარიელი.

ისევ დაღო ხორცი ხელისგულზე. შე-
შფოთებულმა აქეთ-იქით მიმოიხედა და
წასასვლელად შეემზადა. ამასობაში ხე-
ლი გაქრა და ისევ გამოჩნდა, ახლა უკვე
მესამედ, ცარიელი.

შაქრომ მღვდვარება სძლია და ხანჯა-
ლი იძრო იმ ხელის წასაგდებინებლად.

მაგრამ ხელი სამუდამოდ გაქრა. მანდინ-
აჩქარებით ააღვა შამფურები და კომ-
ბალს წამოსადგომად დაეყრდნო. მაგრამ
კომბალი სიჩქარეში წიხის კალთისა-
ვის დაეხვირა და, უცებ რომ ვერ ადგა,
საშინლად შეშინდა.

ცემა ოვლმა დაასხა, ურუხანტელმა
ჩაურბინა ტანში, ყურებში რაღაც აუში-
შინდა, ენა წაერთვა, თვალღებში რაღაც
ნაკვერჩხლები შეუთამაშდა და თვალთ
დაუხუნელდა...

მოსწავლეები მღუმარედ უხმენდნენ
და თვალს არ აცილებდნენ მასწავლე-
ბელს.

— საიდან გაჩნდა ის ხელი სასაფ-
ლაოზე? — ჩუმად, შეცვლილი ხმით
იკითხა რჩეუ კობახიძემ და გამშრალი,
შინდგანი მღვდვარებით გაფიცებული
ტურები გაისველა.

— ანკარა საიდანა გაჩნდა ჩანთაში?
— მიუგო შავლა-მასწავლებელმა და
ფეხზე წამოიგდა.

რეუო სდუმდა. მასწავლებელმა გა-
ნაკარო თავისი მოთხრობა:

— პაპა-შაქრო მწვადის შეწვას რომ
ამთავრებდა, სასაფლაოზე ის ცხვირ-
კაუტა მწყემსი მიიპარა. მას შერცხვა
დანახებოდა შაქროს და ეღიარებინა მის-
ვლის მიზეზი. უკან გაბრუნებითაც შერ-
ცხვებოდა. იდგა, იდგა სიხნულში სუნ-
თქვაშეკერული, და გადაწყვიტა: ეხუმრა,
შემშინებინა გაბედული ვაჟკაცი, შემდეგ
კი დაბრუნებულიყო ამხანაგებთან და
გაეხსენებინა.

ასეც მოიქცა, იმაზე კი არ დაფიქრა,
რა შეიძლებოდა მოჰყოლოდა ასეთ ხუმ-
რობას... ჩვენც ასე დავგვიმართა დღეს

— დაასრულა მასწავლებელმა, — ვიღაცამ იხუმრა, ჩასვა ანკარა ჩანთაში და მოსალოდნელ შედიგზე არც დაფიქრებულა...

კლასი სდუმდა.
— მერე, მერე, რა დაემართა შაქროპაას? — იკითხეს ბოლოს უკანა მერხებიდან.

— რა დაემართა? — შეუბრუნა კითხვა შალვა-მასწავლებელმა. — დაბრმავდა... ბრმა კი ცხვარში ვის რად სჭირდება — გაანდიერებმა დაითხოვეს.

— ცხვირკუპებს რაღა უწინა?
— ბო, ის უნდა დასჯილიყო, მაგრამ ჯანდიერის კნინას შორიერულ ნათესავათ მოხვდებოდა და...

ბოროტი მწყემსის უადგილო ხუმრობით აღმღებულები მოსწავლეები გალახულებივით ისხდნენ; თვალწინ ედგათ

ხმელ-ხმელი, თოვლივით გაითრებული მოხუცი, მისი ჩავარდნილი ლაწვები, მაღალი, დანაოკებული შუბლი და მუდამ ღია, მაგრამ არაფრისმხედველი — ჩაღმებული თვალები.

დიდხანს ისხდნენ ბავშვები და მათ შეეითხვებს რა დაასრულებდა, მაგრამ მასწავლებელმა თქვა:

— საკონტრალოო წერა შაბათს გვექნება. ის კი, ვინც მანანას ჩანთაში ანკარა ჩასვა, ხვალ დილით ჩემთან გამოცხადდება და აღიარებს დანაშაულს...

შალვა-მასწავლებელმა დასტოვა კლასი. სამასწავლებლოში, გაკეთილებების ცხრილს რომ ათვლიერებდა, კარსუკან ჩურჩული მოესმა:

— დილით მოვიდეთ, ხვალ ხვობია...
— არა, გამოსადენი სისხლი გამოვედეს ბარემ...



მ ო ხ უ ც ი ს დ ა რ ი გ ე ბ ა

ტყუილის მთქმელს,
ცრუს და ორგულს
ნუ გაიხდი
თანამგზავრად,
თორემ ბოლოს
დაინანებ
და ჩაგყვება
გულში გავრად!
ვიღრე სიტყვას
წარმოსთქვამდე,
გაცხრილე და...
სთქვი შერჩევით,
ამით ტყუილს
განირიდებ
და სიმართლეს
შეერჩევო!
და თუ რამეს
დამაშვებ,
თამამად სთქვი:
„მე ვიყავი!“
სხვას ნუ ერჩი...
დამნაშავედ
აღიარე
შენი თავი!
ტყუილ-მოწმეთ
არვის გაჭყევი,
ქელი არსად
დაიხარო;
ტყუილის თქმას,
გირჩევნია
გულში ტყვია
დაიხალო!
ჩემო ბალო,
ჩემო შვილო,
ჩემო ნორჩო
მეგობარო,
გთხოვ,
მოხუცის დარიგება
ანდერძივით
მიიბარო!



შალვა-მასწავლებელმა თავისდაუნებურად გამოაღო კარი. მის წინ თავდახრით იდგნენ სამნი, ყველაზე წინ კი — რეზო კობახიძე.

სომხურიდან თარგმნა
მურმან ლეხანიძემ

ი. გიგაშვილი



„არც ერთი ქვეყანა ისე მდიდარი არ არის მადნეულობით, როგორც ჩვენი“, — წერდა დიდი ქართველი პოეტი აკაკი წერეთელი. მართლაც, გადათვლიერეთ ჩვენი ქვეყნის ეკონომურ-გეოგრაფიული რუკა და ნახავთ, რომ არ არის ისეთი კუთხე, რომლის წიაღში დაუნჯებულნი არ იყოს ესა თუ ის მუნებრივი სიმდიდრე: ოქრო, ვერცხლი, ტყვია, სპილენძი, რკინა, მარგანეცი, ნიკელი, ნავთობი, თუთია, ქვანახშირი, მოლიბდენი, ღარიშხანი, ანტიმონიუმი, კაუი-ხალცედონი, ვიშერი, მთის ბროლი, ანდეზიტი და მრავალი ლითონი და მინერალი, რომელთა სრული ჩამოთვლა შორს წავეყვანა.

საქართველოს მადნეულობიდან დიდი სახელი მოიხვეჭა მსოფლიოში ქიათურის მარგანეცმა.

მარგანეცი უხვდაა ბუნებაში. იგი მოიპოვება დედამიწის ქერქში, ზღვის წყლებში, მცენარეებში, საძვაროს ციურ სხეულებში და თვით ადამიანთა და ცხოველთა ორგანიზმშიც. მაგრამ არსად ქვეყნად არ მოიპოვება მარგანეცის ისეთი მადანი, როგორცვა ქიათურაში — უმაღლესი ხარისხისა და უზარმაზარი რაოდენობის.

მარგანეცს მრავალ დარგში იყენებენ: ქიმიურ მრეწველობაში, ფერადი ლითონების მეტალურგიაში, მინისა და საღებავების დასამზადებლად, მედიცინაში და მხატვრობაში, თვით ასანთის წარმოებაშიც, მაგრამ ყველაზე უფრო მეტი რაოდენობით შავ მეტალურგიაში — ფოლადის, თუჯის და რკინის დასამზადებლად. მარგანეცის გამოუყენებლად შეუძლებელია ხარისხიანი ფოლადის გამოღობა.

მეტალურგიაში მარგანეცს იყენებენ მხოლოდ რკინასთან შედარებით და ამ შენადნობს ეწოდება ფერომარგანეცი. (ფერო ლათინური სიტყვაა და ნიშნავს რკინას). ისეთი

ქარხნები, სადაც რკინისა და მარგანეცის შენადნობს ამზადებენ, სამკოთა კავშირში ბევრია. ერთი მათგანი — ძლიერი ქარხანა — ქალაქ ზესტაფონშია.

ჩვენი მძიმე მრეწველობის ყოვილდოურ ზრდასთან ერთად იზრდება მოთხოვნილება ფერო-მარგანეცზე. ამიტომ ახალი სტრუქტურა იგეგმით მარტო ქიათურაში მარგანეცის მადნის ამოღება უნდა გაიზარდოს 1,7-ჯერ.

• • •

ლამაზია ქიათურა იგი მდებარეობს ზემო იმერეთში, ყვირილის ხეობაში, და გარემოცულია მაღალი მთაგორებით. საბაგირო-საპაერთო გზა, ლამაზი სახლობი და ქუჩები, სკოლა, თეატრი, კულტურული და საყოფაცხოვრებო დაწესებულებები ამშვენებენ ქალაქს. მაგრამ ასეთი როდი ყოფილა ეს არემარე წარსულში. მივარდნილ ხეობაში ცხოვრობდნენ იმერლები და არ იცოდნენ, რა ვოლიათური სიმდიდრე იყო მათი მწირი და უნაყოფო მიწის ქვეშ. იცოდნენ მხოლოდ ის, თუ როგორ აფუჭებდა მწარე ოფლით მოყვანილ ქარხანულს იქაური რაღაც უცნაური, მაშინ ქვა-გუნდად წოდებული მარგანეცი, და ამიტომ გაურბოდნენ მას. აი რას იგონებს აკაკი წერეთელი ამ ამბის შესახებ: „ერთხელ სოფელში ვიყავი საწაფხლოდ... მამაჩემმა უბრძანა მოურავს: თუ ღმერთი გწამს, წირქვალური ბური არ აურიო სხვა ბურებში, არ დამლუბო... მიწევი გამოვიცოხე და შევატყვი რომ წირქვალური ბური თავისთავად მსხვილმარცვლოვანა და კარგი, მაგრამ „ივაი მიწა“... ერთი ნამცეციც რომ შეტყუეს, პურის ისე გაამაფებს, რომ მეტი არ შეიძლება“.

ქიათურის მარგანეცი გამოიკვებმა პირველად 1846 წელს აღმოაჩინეს, მაგრამ დიდი ხნის განმავლობაში არ იყენებდნენ

მას, და ეს ხდებოდა მაშინ, როდესაც მეფის მთავრობა მარ-
განციხის მადანს უცხოეთში ყიდულობდა ოქროსზე.

ოთხმოცი წლის წინათ ჩვენი სახლგოვანი აკაცი წერეთელი
აკცნობია მარგანციხის მინიშნებლობას, განუწრახავს მისი და-
მუშავებდა და ამით ქვეყნისა და ხალხის ეკონომიური მდგო-
მარეობის გაუმჯობესებას. მაგრამ ბევრმა მის განწახავებს
ეკვიპის თვალთ შეხედა და პოეტურ გატაცებას მიაწერა.
ბევრიც დასცინოდა: თერთი მარმარილოდან არავის უნახავს
სერიის და შავი ქვიდან რა უნდა გამოვიდესო. ზოგიერთმა
აკაციის სიგიჟეც დასწამა, ხოლო ერთმა თავადმა პოეტის მა-
მას წერილი გაუგზავნა საყვედურით: „ჩვერ იყო და მისტ-
ვირეობას განიუღდა და დანაშაულით ქვეყანა გადაიკიდა. ახ-
ლა კიდევ აუჩინებია რაღაცა შავი ქვა და თურმე გაბახის
ქვეყანა უნდა გაგამდღროო და ქვეყანას თავს ყხად აღუ-
ბინებეს... რას მიუღ-მოიღება, ბეტრის რაზე ახარებს... ქვეყანა
დასცინისო“. მაგრამ აკაცი არ შედრკა და მთელი მოწოდინე-
ბით ცდილობდა მიზნის მიღწევას. გაჭირვებით შოულობდა
ფულს და წაიღიდან მადანს აღებინებდა. მაგრამ პირველ ხა-
ნებში ქიათურაში მადანის ჩამოტანის ვერავენ იშოვა: შავი
ქვის ზიღდა რა საკადრისიო, ეუნებოდნენ მას. დიდი
ხეყნის შემდეგ ვინმე ვაშაძე დათანხმებულა და ისიც ერთი
პირობით: დან-დამობით გადმოგზიდვა, რომ ვინმე არ შეე-
ნიშნოს და არ დამცინოსო. ქიათურაში ჩამოტანილი მადანი
აკაციის ცხენით მიჰქონდა ქუთაისში და იქიდან რუსეთსა და
უცხოეთში აგზავნიდა, რათა გასცნობოდნენ ჩვენებურ მარ-
განციხის და დაინტერესებულნიყვნენ მადანის დაშუშავებით.

„ეს ჩხირკიდებლობა, — იგონებდა აკაცი, — დიდხანს
გაგრძელდა და ბოლოს, როგორც ექნა, დაინტერესდნენ
იქურო ზოგიერთი ვაჭრები.“ საყოთარი თანხების დაზღვე-
ვისა და მრავალი სიძინელის გადასახვის შემდეგ აკაცი წე-
რეთელმა შეძლო 1879 წელს მარსელში გემით გაეგზავნა
მარგანციხის მადანის პირველი პარტია 51.000 ფუთის რაოდე-
ნობით.

გამდიდრების მაძიებელნი კალასავით მოიფინენ ქიათუ-
რას. დაიწყეს მიწების იჯარით აღება და მადანის დაშუშავება.
მათ მიხამქს ადგილობრივმა მცხოვრებლებმაც, რომლებიც
ორიოდე წლის წინათ დასცინოდნენ აკაციის წარმოიშვა ტმა-
ცებლობა, სპეკულაცია, თაღლითობა, მოტყუება და ცემა-
ტყუება. ამ რომბიტრალიში იმარჯვებდა ის, ვინც ფულიანი,
გაქნილი და მოხერხებული იყო. ყოველივე ეს მიძიე ტვირ-
თად აწებებოდა მშრომელებს და თვით სახადოებსაც. ხალხს
უშოწყალოდ ყველფედნენ, ხოლო სახადოების დაშუშავება
ყარაღურად და უწესოდ ხდებოდა. დაბალი, ვიწრო და გაუ-
მარტებელი მაღაროები წშირად ინგრეოდა და ქვეშ იტანდა
მუშებს. მრეწველებს ვაჭქონდათ მხოლოდ მდიდარი მადანი,
ხოლო ოღვენ მდარე ხარისხოვანს მაღაროშივე სტოვებდნენ,
ან ჰყრიდნენ როგორც უფარგისს.

მთავრობის ჩინოვნიკური აპარატი გულგრილად უყურებდა
მრეწველთა ამ აღვირახსნილ ბოროტებას და, პირიქით, ცდი-
ლობდა წარმოება საერთოდ შეეწყვიტა, მაგრამ ამაოდ. მარ-
განციხის მრეწველობა ყოველწლიურად ფართოვდებოდა და
უკვე 1920 წლისათვის გაზარდული მადანის რაოდენობა 719
მლნიონ ფუთს აღემატებოდა.

მუშებს ჯგჯობითურ პირობებში უხდებოდათ მუშაობა
ლუკმა-პუროს საშოვნელად. ვაჭვალტყავებული მშრომელები,
მათ შორის ქალები და მოზარდოლები 16-18 საათს მუ-
შაობდნენ ნესტიან და ბნელ მაღაროებში. ქრაქების ქვაბრ-
ლი, უპატიობა, უმძიმესი შრომა და ნაირგვარი დაავადებანი
მუღრის ავლებდა მუშებს.

მხოლოდ სამკათა ხელისუფლების პირობებში ვახდა შე-
საძლებელი მშრომელთა ეკონომიური მდგომარეობის გაუმ-
ჯობლებება, მრეწველობის სწორი განვითარება.

საბადოების დაშუშავება აკაციწარია საბოთ ხელმეფების
ყველა უცესების მიხედვით, აიყო წესიერი მაღაროები, მოე-
წყუ მათი განათება და განიავება, ბმარებლად გაეყვებულ
იქნა ხელის წერაქვი და ურციები, ნინებები და ქრაქაქები.



ფართოდ დაინტერესდა ახალი ტექნიკა წარმოების ყველა უხან-
ზე. ფართოვდებდა ქიათურა-შორაპნის რეინიგის შტო, ვა-
ყავთ საბაქერო საბაქერო გზებში, იგებდა მადანის ახალი ხან-
რეცხობა, გამამდიდრებელი ფაბრიკა და სხვა მრავალი.

ახეთ მზურანველობა ქიათურის მშრომელებმა ახალი ხა-
წარმოი აღმავლობით უპასუხეს და ახლაც გიორულად იბრ-
ვიან მიექვსენ ბუთწლიანი ვეგვის შესასრულებლად.
ძველ მუშებთან ერთად ნაყოფიერად შრომობენ ახლაგზარ-
დებიც. მათი უმრავლესობა წარმოებისაგან მოუწყვეტლავ
სწავლობს სასწავლებლებში. ისინი იზრდებიან მომავალ
მეშხებებად, აქენიკოსებად, ინჟინრებად.

აღსრულდა დიდი მგონის ოცენება — ქიათურაში მარგა-
ნიციის მრეწველობის განვითარება, ადგილობრივი კადრების
აღზრდა და ქვეყნის ეკონომიური ამაღიარება.

ალ. კოხლავაშვილი



ნახ. რ. ცუცქერიძისა

გ ლ ე ხ ი დ ა ს ე ნ ი ო რ ე ბ ი

(ესპანური ხალხური ზღაპარი)

დედაქალაქიდან დამორებით, ყრუ სოფელში, ცხოვრობდა ერთი გლეხი, რომელსაც მეფე არასოდეს არ ენახა. ის ფიქრობდა, რომ მეფე სრულებით არ გავდა სხვა ადამიანებს და მთელი სიცოცხლე მის ნახვანე ოცნებობდა.

ერთ მშვენიერ დღეს მან უთხრა თავის ცოლს:

— ყური დამიგდე, მარინა, მე მსურს მეგის სანახავედ დედაქალაქში გავემგზავრო.

— ხომ არ გაგეთებულხარ, — უპასუხა ცოლმა, — დროს კი ასეთი ახირებინათვის ჩვენი უკანასკნელი გროშების დახარჯვა?

— მე კი ძალიან მიწდა დედაქალაქს ჩასვლა. თან იქ, ამ დაწყველილ კბილსაც ამოვიძრობ, ასე ხშირად რომ მაწუხებს ხოლმე. — დაუინებთ მოითხოვდა ქმარი. და იმდენ ხანს ეხვეწა ცოლს, რომ ბოლოს დაითანხმა კიდევ.

გახარებული გლეხი გზას გაუდგა. ქალაქი საქმაოდ შორს იყო და გზაში თითქმის მთელი ფული შემოეხარჯა. როგორც იყო მიაღწია დედაქალაქს და იმ დღესვე ნახა მეფე, როდესაც იგი ეკლესიიდან გამოდიოდა.

— რა სულელი ვიყავი, — გაიფიქრა გლეხმა, — მეფე ისეთივე ადამიანი ყოფილა, როგორც ყოველი ჩვენი, ნეტავ ფული რისთვის-ღა დებარავე?

მან გახსნა საფულე და დაინახა, რომ ნახევარი რეალი-ღა დარჩენილა. ძალზე მშვიერი იყო და საუბედუროდ კბილიც ისე ასტივდა, როგორც არასდროს. გაწამებული და მშვიერი გლეხი გარედა ნამცხვრებით მოვაჭრის წინ და გაიფიქრა: „თუ კბილს ამოვიძრობ, იძულებული ვიქნები ჩემი უკანასკნელი ნახევარი რეალი ექმის მივცე; თუ ფულს ნამცხვარში დავხარჯავ, კბილი უფრო ძალიან ამტივია და სახლამდე მისაღწევად ძალ-ღონე აღარ შემჩნება. მაშ, როგორ მოვიქცე?“

იფიქრა, იფიქრა, მაგრამ ვერაფერი კი ვერ მოიფიქრა. ამ დროს გვერდზე ორმა სენიორმა ჩაუარა. მათ შენიშნეს გლეხი, რომელიც ნამცხვრებს ხარხად მისწერებოდა და მისი მასხრად აგდება განიხრახბეს.

— შენ, ეი — მიმართეს გლეხს, — რამდენ ნამცხვარს შექამ ერთ ჯერზე?

— მე? ასე მეტს.

— ასე მეტს? — გაეცინათ სენიორებს, ვერაზინაც ვერ შეჭამს ასე მეტს.

— ვერაზინ? მე კი შეჭამ.

მათ გარშემო ხალხმა მოიყარა თავი. მაშინ ერთ-ერთი სენიორი გლეხს შეეკითხა:

— კი, მაგრამ, რაზე დავნაძღვედეთ?

— რაზე? აი რა: თუ მე ას ცალს ვერ

შევეამ, რომელიც გენებოთ ის კბილი ამომგლიჯეთ, თუნდაც აი, ეს, — სიქვა გლეხმა და ის კბილი აჩვენა, რომელიც სტიკიოდა.

სენიორები სიცოლით დაეთანხმნენ და გლეხი ჭამას შეუდგა. როდესაც კარგად გამოძდა, მან თქვა:

— მეტი აღარ შემიძლიან, ბატონებო, წაგებულნი ვარ.

გარშემო ყველას გაეცინა, გამარჯვებით კმაყოფილმა სენიორებმა ექიმს მოუხმნეს და უთხრეს:

— ამა, ერთი ამ გლეხს ეს კბილი ახლავე ამოკლიავე.

გლეხმა ნაღვლიანი სახე მიიღო. სენიორებმა კი უფრო ხმაშაღლა დაიწყეს სიცალი. ექიმი კბილს დაეკლდა. გლეხი კვნესიდა; ყვიროდა და ყოველ მის ყვირობს სენიორები ხმაშაღალი ხარხარით ხედებოდნენ.

ბოლოს, როდესაც კბილი ამოაძრეს, სენიორებმა ექიმსა და ნამცხვრებით მოვაჭრე ანგარიში გაუსწორეს და იქ მყოფთ მიმართეს:

— გინახათ თქვენ ოდენმე ამაზე უფრო სულელი ადამიანი, როგორც ეს გლეხია? მან რამდენამე ნამცხვარში კბილი ამოსაგლეჯად გაიმეტა.

— თუ ჩვენს შორის ვინმე სულელია, უპირველეს ყოვლისა, ეს თქვენა ბაქანდებით, სენიორებო, — უპასუხა გლეხ-

მა, — თქვენ გადაიხადეთ ფული ნამცბერებში, რომელიც მე ასე მაღიანად გეხვლით, და ამამოგულივით კბოლი, რომელიც მე დიდი ხანია მტკიოდა. თქვენ ორი ჭირისაგან მიხსენით: შიშში-

ლისა და კბოლის ტყვილისაგან. ამას-თან ჩემი ნახვარი რვალიც ხელუხლებული დამჩნა. გარშემო მყოფნი მხიარულად ახარ-ბარდნენ, ახლა იხინ უკვე სენიორებს

დასცილოდნენ. სენიორები კი შერტყე-ნილნი და გაბრიყვებულნი სასურველ შეერივნენ ბრბოს, რათა ხალხის და-ციფიხაობის თავი აერიდებინათ.

პოლდინო და მსაჯული

(იტალიური ხალხური ზღაპარი)

ერთხელ, ერთმა უსახლკარო ღარიბმა ბიჭმა პოლდინომ, მთელი დღის განმავლობაში ერთი ნატეხი პურიც კი ვერ იშოვნა. მშვიდი და ღალილი წამოწვა ჯებიარზე, რომელიც ნავსადგურს ზღვის ქარიშხლისაგან იფარავდა და პირდაპირ ცივ ქვაზე დაიძინა.

დაესაშვრა, თითქოს იგი ძვირფას და საგანგებო სადილზე იყო მიწვეული. მაგრამ, ის იყო წვეს უნდა შექცეოდა, რომელსაც მაღის აღმტყრელი ოსმივარი ასდიოდა, რომ უფერად მოსწყდა და კვერცხებით დატვირთულ იაღქნიან ნავში ჩაეარდა. საშინელია ჭახანმა გამოადვიდა ნავის პატრონი, რომელსაც მისი ხუტუქა წერის გამო ბარბარია შე-არქვეს.

— საძაგელო, შენ მე გამაოტრე! — დაიძლირა სიბრახისაგან აცხცახებულმა ბარბარია. — მაგრამ, ცოლემ, ყველაფერს სრულად გაწღვეინებ.

— მე, სულ ერთია, გროშიც არ გა-
*ბარბარია — იტალიურად ხუტუქუპე წერის ნიშნავს.

მანია, — უსახუსხა შემკრთალმა პოლდინომ.

— რა ჩემი საქმეა! შენ ჩემთან ერთად მოსამართლესთან წამოხვალ. აი, ის კი გამონახავს საშუალებას, რომელიც გაიძულებს ზარალი ამინაწღაურო.

გაშვი პოლდინომ ქვა აიღო და ცხვირ-სახოცში გაახვია.

როდესაც მსაჯული პოლდინოს რაიმე შეკითხვას აძლევდა, იგი ყოველთვის პასუხად ცხვირსახოცში გახვეულ ქვას აწვინებდა. მსაჯულმა გადაწყვიტა, რომ პოლდინო მისთვის ქრთამის მიცემას აპირებდა. მან ეკუთა მოიფხანა, ცხვირი დაეცემინა და ასეთი განაჩენი გამოიტანა:

— რადგან პოლდინომ შენს მიერ ნა-ყიდი კვერცხები დაამტვრია, შენ ბარ-ბარია, შენის მხრივ ჯებირიდან ნავში უნდა ჩახტე, რათა დაამტვრიო კვერცხები, რომელსაც პოლდინო იყიდის.

მაგრამ ბარბარია მზდალი იყო, და ეშინოდა მაღალ ჯებირიდან ჩამოხტო-მისას კისერი არ მოეტეხა, გვერდზე გა-

იხმო პოლდინო და ასი ოქრო შეაძლია, ოღონდ არ აეძულებინა იგი ჯებირიდან გადმომტარიყო.

როდესაც ყველანი დაიშალნენ, მსა-ჯულმა პოლდინოს დაუძახა:

— აბა, რა გაქვს მაგ ხელსახოცში? ერთი მაჩვენე!



მოსამართლემ ცხვირსახოცი გაშალა... და უბრალო ქვა კი შერჩა ხელში.

— როგორ? მე შენ გაგამართლე და შენ კი, საძაგელო, ამის სამაგიეროდ ქვას მაძლევ? ეს რას ნიშნავს? მია-სუხე!

— აი, რას, — მშვიდად უსახუსხა პოლდინომ. — თუ მსაჯული სამართ-ლიანია, იგი თავისი პატიოსნებისათვის ქრთამს არ უნდა თხოულობდეს, ხოლო თუ მსაჯული უსამართლოა, იგი ქვის მეტს არაფერს იმსახურებს.

ამ სიტყვებმა მსაჯული ისე დააბნეხ, რომ პასუხის გაცემაც ვერ შესძლია. მას პასუხი დღემდე ვერ უპოვნია.

თარგმან მთმარ ჩხიკავამ





პიონერული ამბები

სკოლის ბაღში

ნაყოფისაგან დამძიმებული ტოტები მიწამდე დახრილან, ლოყაწითელი ვაშლები საამოდ გამოიყურებიან ჩამუქებულ ფოთლობიდან. წითელყელსანვევიანი გოგო-ბიჭები კალათებით დაფუსფუსებენ სკოლის ბაღში.

— კარგი მოსავალი გვაქვს წილს, ძალიან კარგი, — ამბობს სკოლის დირექტორი გიორგი პაპუაშვილი.

ეს ბაღი თერთი წყაროს რაიონის სოფელ ბოგვის საშუალო სკოლის ნაკვეთზეა გაშენებული.

პირველი წერები, ამ ბაღის პირველი მერცხლები, ცხრა წლის წინად გაჩნდა სკოლის ეზოში, აქედან მოყოლებული, ყოველწელიწადს ემატებოდა და ახლა 93 ძირი მსხმოიარე ზე დგას აქ.

ძ მ ი რ ფ ა ს ი

აღსრულდა თბილისის ლენინის რაიონის პიონერ-მოსწავლეთა დიდი ხნის ოცნება — მავნიტო-გორსკის ქუჩაზე გაიხსნა და საჩუქრად გადაეცა რაიონის მოსწავლეებს პიონერთა ახალი სახლი.

პიონერთა სახლის კეთილმოწყობაში კარგი ინიციატივა გამოიჩინეს რაიონის საწარმოებმა. სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის კოლექტივმა სახლის დარბაზისა და საზაფხულო ესტრადისათვის გამოიკეთა სკამები, კიროვის სახელობის ქარხანამ დაამზადა სახარატო და საბურღი ჩარხები. ქარხანა „დაზგამ“ შეაკეთა და დადგა სახერხი ჩარხი, ხოლო მუსიკალურ-საავიჯო კომბინატმა და აივჯის ფაბრიკამ პიონერთა სახლისათვის დაამზადეს საღურჯლო ორი დაზგა.

სკოლის ვაშლებს ამ დღეს პიონერებთან ერთად უფროსებიც სწვეოდნენ.

ჩვენ სტუმრებიც ვართ და მასპინძლებიცო. ხუმრობენ მოსულნი და პიონერებს უამბობენ როგორ დარგეს მათ პირველი ზე ამ ბაღში, როცა ისინიც ამ სკოლაში სწავლობდნენ და მათსავით წითელ ყელსახვევებს ატარებდნენ.

— აი ახლა, ხეხილი უკვე გაზრდილია, ჩვენც გავიზარდეთ, მაგრამ ჩვენი სკოლა და ეს ბაღიც ისევ ისე გვიყვარს როგორც მაშინ, არა, უფრო მეტადაც; — პიონერული გატაცებით უყვებიან ისინი პატარავებს, პიონერები კი ოცნებით მომავალში გადადიან, როცა მათი დარგული ხეებიც დიზარდებიან და თვითონაც გაზრდილნი სამშობლოს სამსახურში იღებებიან.


ს ა რ უ შ ა რ ი

გამწვანების რაიონულმა კანტორამ მოაწყო მშენებრივი დეკორატიული გაზონები, „ზაქრანსტროის“ პირველმა უბანმა სახლის ეზოს ღობე შემაჯავლო.

პიონერთა სახლის ნორჩ ნატურალისტთა კაბინეტი, მექანიკური სახელოსნო, მყურებელთა დარბაზი 200 კაცისათვის, საზაფხულო ესტრადა, მხატვრული თვითმომქმედების წრეების სამეცადინო ოთახები და ნორჩ ნატურალისტთათვის ახლახან მოწყობილი საცდელი ნაკვეთი რაიონის პიონერების სიამაყეს წარმოადგენენ.

ლენინის რაიონის თითქმის ყველა პიონერ-მოსწავლე დაესწრო სახლის საზეიმო გახსნას.





ნახ. ნ. შალიკაშვილისა

ქანჩი ღმუსონი

მოკითხვა და თანაგრიძობა

— დეილა, არვი აქ ცხოვრობს?
 — შერე, შენ რა გინდა?
 — დალახეროს ეშმაქმა! ნუთუ არ შეგიძლიათ წესიერად მიპასუხოთ?
 — როგორ მიბედავ ასე ლაპარაკს, შე ლაწირაკო! მომშორდი აქედან! ახლავე პოლიციელს დავუძახებ, თუ არ წახვალ.
 — რა თავში სახლელად მინდა პოლიციელი! ძალიან კი არ გამიბირდება, ახლავე რომ ბიჭებს დაეუძახო და ეს ძველი ქოხმახი მაგ თავზე გადაგამხო, მე მხოლოდ ის გკითხე, არვი აქ ცხოვრობს თუ არა-მეთქი. არ შეიძლება ახალგაზრდად წესიერად იკითხოს რამე?
 — შერე, შენ რა საქმე გაქვს არვისთან, იცნობ?
 — ოპ, ეს კიდევ თავისას გაიძახის; არვი ძმებ გრაინდერებთან არ მუშაობს? მე შორიდან მოვუარე, გზა გავფარქელე, რომ აქეთ წამოვსულიყავი და მისთვის პატარა საშახსური გამეწია. ახლა კი, წყევლიმც ვიყო, თუ ვტყუოდე. ძლიერ

ვანობ აქ მოსვლას. შენ კი დამცინი, სიტყვას არ მათქმევინებ, პირში მგარდები. მე მინდოდა არვი გამეფროთხილებია, რომ ხვალ სამუშაოზე გამოცხადებუდიყო, თორემ ადგილს დაკარგავს. ვერ ვიტან, როცა ერთის ადგილს სხვა ჩაივდებს ხოლმე ხელში. მაინც რა მოუვიდა არვის, ავად ხომ არ არის?

— არვი მოკვდა!

— ღმერთო ჩემო! კარგით ერთი, რას მატყუებთ! არვის გადაეცით, რომ ბილ ანდერსენს უნდა შენი ნახვა-თქო.

— ოპ, ღმერთო! მე ჩემი უბედურება არ მეყოფა, რომ ახლა ეს არამზადა მოვიდა ჩემს საწამებლად? ღვთის გულისათვის, აქედან გამცილდი და შარტო დამტოვე. რა მაქვს მოსატყუარი! ჩემი საცოდავი ბივი გაცივდა და წუხელ გარდაიცვალა.

— უჰ!

ძინებებში ჩაცმულმა პატარა ბიჭუნამ ერთი ნელა, გაბმულად დაუსტვინა, „ჯონსის უბანს“ თვალი მოავლო, პირში შერჩენილი თამბაქოს წვენი გადმოაპურჭყა და თქვა:

— ღმერთო მიშველე! ბოლოში, ქალბატონო. მე არაფერია ვიცოდი. აბა, საიდან გავიგებდი, მატყუებდით თუ სიმართლეს მეუბნებოდით.

ბიჭუნამ ცალი ხელი ჯიბიდან ამოიღო, კეფა მოიფხანა და უკან გადააწეული ქული შუბლზე ჩამოიფხანა. მარჯვენა ფეხზე დინდელა, მარცხენა მუხლამდე ასწია, ტუჭყიანი ხელით ლანჩაზე ერთი გოჯი მოზონა და დააცქერდა, თითქოს უნდოდა გაეგო — დიდხანს გამიძლებს თუ არაო. მერე ერთი მაგარად გადააფროთხა ქეფენილოზე და ქალს მიმართა:

— დეილა, შეიძლება არვი ვნახო?

ბიჭუნა მოხუც ქალს გაყავ. პატარა, მრულე კი-

ბე უშიშრად აიარა. როგორც კი ოთახში შევიდა, ქულდი მიახიდა.

იქაურობას თვალი მთავლი და სიდატაჟის ის ნიშნები შენიშნა, რომელიც ასე ნაცნობი იყო მისთვის. მერე მზერა იქით გადაიტანა, სადაც პატარა არვის უსიცოცხლო გვაში ესვენა სავარეულზე და იქვე იდგა ღარიბული კუბოც. თითქოს აღარგებო, ისე შევიდა თვალი კუბოს, მერე არვის გადახედა, მერე ისევ კუბოს მიაშტერდა. იფიქრებდით, იმის გაგება უნდა, ჩაეტყუა არვი კუბოში თუ არაო.

ღედამ ბავშვის გამხდარ და ფერპკრთალ სახეს სულარა გადახანდა. ბილი მივიდა და სავარძელთან შეჩერდა. მარჯვენა ჯიბიდან ხელი ამოიღო და არვის გაყინულ შუბლს დაადო.

— საცოდავი ბავშვი! — თითქმის თავისთვის ჩაიბუტბუტა ბილი. მერე თითქოს თავის გულჩვილობის შერცხვავო, დაუმატა: — გვაში ხომ არ გაუშვეთათ?

— არა, — მიუგო ღედამ. — სწორედ წინადლით გასწავლა ექიმმა. არავის არ გაუტყვევია.

— მეც ვგრე ვიფიქრე, — თქვა ბილი. — როცა გვაში კეთებ, თითქოს ამით რაღაც ტკივილი აყენებენ. მამაჩემს პირველად ნორმალური შეხედულება ჰქონდა, გვეგონებოდათ ისვენებო. მაგრამ როცა გავკეთეს, ისეთი სახე მიიღო, თითქოს რაღაც ატკინებო. ეს ჩემს მეტს არავის შეუღმჩენია. რამდენი წლის იყო არვი?

— თერთმეტი.

— მე უპეე მეცამეტეში გადავდექი. არვის მამა არა ჰყავს, არა?

— არა.

— არც მე. არვის მამა სამუშაოზე დაიღუპა, არა?

— ჰო.

— მამაჩემიც. არვი მეუბნებოდა, მამას გული არ ჰქონდა კარგო.

— მართლაც არ ჰქონდა მაგარი გული.

— მამაჩემსაც. საკვირველია სწორედ! თქვენ დაწესებულებებში იატაკებს სწმენდავთ და სარეცხს რეცხავთ, არა?

— ჰო.

— ღედაჩემიც. რა თქმა უნდა, ძალიან ვაგვიკირღებთ ამ ღუბჭირ ღროს ლუქა-პურის შონვა?

— ღმერთო ჩემო, მამ რა არის, აბა! მხოლოდ ღმერთმა უწყის ახლა რაღა მეშველება, ჩემი საცოდავი ბიჭი რომ აღარ მყავს. ჩვეულგბრთვად ექვსის ნახევარზე ვდგები და იატაკებს ვწმენდავ. ამას რომ მოვრჩები, მერე სარეცხს შევუღლები! მაინც მიჭირს!

— ასეა ღედაჩემიც. რა ელდა იქნებოდა თქვენთვის, მკვდარ ქმარს რომ მოასვენებდნენ სახლში! — უთხრა ბილი.

— ოჰ, ის ღლე არასოდეს არ დამავიწყდება. ჩემი ქმარი რამდენიმე კვირა უმუშევარი იყო და მხოლოდ ორი დღის წინ მიიღო სამუშაო. ღედა-შენისთვისაც დიდი უბედურება იქნებოდა ქმრის დაღუპვა.

— ეჰ, სულარ იტყვი! მამაჩემი რომ მოასვენეს, ერთმა ყმწვილიმ, რომელიც მიცვალებულს თან

მოჰყავ, ღედაჩემს უთხრა: „ქალბატონო, თქვენი ქმარი ვარდიცვალა“. ოგი მოულოდნელად ჩაიხუტა და დადგარა. მერე ღედაჩემმა ერთხელ უთხრა: „ოჰ, ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო!“ — და იქვე დავცა გულშემოყრილი.

— საბრალო! საბრალო! ახლა მე ჩემი არვიც აიარა მყავს. რა უნდა გქნათ მე და ჩემმა ბავშვებმა? რა ვუყო? ო, ღმერთო! ნეტა, მეც მიწაში ვიყო ჩემი ქმარავით.

— გამხნევიდით, ქალბატონო! — ანუგეგა ბილი. — რაც მოხდა, იმას აღარაფერი ეშველება. ბავშვმა თამბაქოს წვენით დასვრილი ტუჩები ხელუკუღმა მიოწმინდა და გათხუზულ ხელს ერთს წუთით დააშტერდა. მერე ისევ არვის გადახედა.

— თევზის ქონი უნდა ესვა ბავშვს, — უთხრა ბილი.

— არა, არვის დასვენება და კარგი კვება სჭირდება.

— არვი არ იყო ღონიერი, — თქვა ბილი.

— ჰო, ჩემი საცოდავი ბავშვი არ იყო ღონიერი.

— გრანდერების ფაბრიკაში არვის კარგად არ ექცეოდნენ. ისინი მას არაფრის სწავლის საშუალებას არ აძლევდნენ. სულ ერთსა და იმავე სამუშაოზე ჰყავდათ. არვის კიდევ იმდენი გამბედაობა არ ჰყოფნიდა უფროცხვისათვის ეთქვა — დამაწინაურებო. ეწინოდა, ვაი თუ დამითხოვინო. ჩხუბი არ იცოდა და ბიჭებიც აღიზიანებდნენ. იყო შემთხვევა, როცა ბიჭები ქარხანასთან ელვდებოდნენ, რომ არვი ჩაეგდოთ ხელში და აზუსტავდებო. აბა, ერთი ჩემთვის გაებედათ, ნახავდნენ მერე! საწყალი არვი ვერ უმკლავდებოდა ბიჭებს. თანაც რა თქმა უნდა, ღონეც არ მოსდევდა. მე ვერაფერს მიხედავენ ბიჭები. ისეთი ღონიერი ვარ, მთას გადავაბრუნებ. რა ექნა, ეს ხომ მისი ბრაია არ იყო. მე ვფიქრობ, ის რომ ღონიერი ყოფილიყო, სიმამარზე უქნებოდა... — თქვა ბილი და მამობრივი შემწყხარებლობით გადახედა ცხელარს.

— ღმერთო ჩემო! — წამოიძახა ღედამ. — ეს რომ მცოდნოდა, შიშილით თავს მოვიკლავდი და ჩემს საბრალო არვის იქ არ ვაგულშეგდი საწამებლად. არვის არასოდეს არ შეუღივლია ჩემთვის. პატარა საწყალი არვი! საცოდავო არვი!

— მამ, თქვენ არაფერს გეუბნებოდათ?

— არასოდეს, ერთი სიტყვაც არ დასცდენია.

— ო, რას ამბობთ? ალბათ, არ უნდოდა თქვენთან თავისი უძლურება გამოემჟღავნებია...

პატარა ბიჭუნას ყურადღება საწოლისათვის ჩამოკიდებულმა გრავიურამ მიიპყრო. ერთხანს გაშტერებით შესცქეროდა.

— ჩვენც ვაგვაც სახლში ასეთი სურათი. წინათ ჩვენც ჯონსის ელიონი ცვხვობდით — აი, იქითა მხარეს, იმ სახლში. თქვენ მოგწონთ ჯონსის ელი?

— სულაც არ მომწონს. ნეტა ამ უბანში არ იზრდებოდნენ ჩემი ბავშვები. რა მოსაწონია აქაურობა, საცა ამდენი საძაგელი სახლი! მაგრამ სხვაგან გადასვლის საშუალება არა მაქვს.

— აჰ ახლო-მანლო ბევრია ღამის თავმესაფარი,

— თქვე ბილმა დაფიქრებთ. — აბა, კარგს რას ისწავლის ამ უბანში ბავშვი? მათ ისიც არ იციან, ქალაქში გზა როგორ გაიკვლიონ. თქვენ სულ სიღრმეში ცხოვრობთ მთელი სიცოცხლე?

— არა, — მიუღო მოხუცმა ქალმა. — ხუთი წელიწადი იქნება, რაც ჯუნგლიდან წამოვედი. ჩემ საცოდავ ქმარს ეგონა, ქალაქში უკეთ მოვეწყობითო. მე თვითონ ჯუნგლში გავიზარდე.

— მეც ასე ვფიქრობდი. ზოგჯერ მამაკაცები რა უშუალო იქცევიან ხოლმე. მე ახლა ვფიქრობ, იქნებ როგორმე ორდერი ვიშოვო და ცოტა მოშორებით დავსახლდე. ჰო, მართლა, არვი სად უნდა დასაფლავოთ?

— როკვულში.

— მე ვერ მოვალ. ხეალ სამუშაოზე უნდა ვიყო.

— სახელმწიფო ხარჯზე ასაფლავებთ?

— ჰო.

ბილიმ გაორკეცებული პატივისცემით გადახედა ცხელარს.

— იქნებ რამეში დაგეხმაროთ? ნუ დამერიდებით, მითხარით.

— არა, მაგრამ მინც დიდი მადლობელი ვარ შენი.

— ახლა მე წავალ. ბოდის ვიხდი შეწუხებისათვის ქალბატონო.

— აბა რა შეწუხებისათვის, ჩემო ბიჭიკო. საფეხურებზე ცოტა ფრთხილად ჩაიღ, შვილო.

— ჰო, ჩატეხილია. არაფერია, თუ გინდათ, ფიცარს მივიტან და შევაკეთებ. მე ხურფობის შესწავლობ და უკვე კარის გაკეთებაც კი ვიცი. იცით, რა? ამაღამ მე დედაჩემს გამოვგზავნი და არვის მოვლა-პატრონობაში დავგეხმარებათ.

— არა, მადლობელი ვარ. დედაშენს ისედაც ბევრი საქმე ეჩნება. მე თვითონ მოვეული ჩემს საბარალო ბავშვს.

— მე მინც გამოვგზავნი; ცოტა უხეში ქალია, მაგრამ გული კეთილი აქვს. ყველაზე ძალიან მკვდრების მოვლა უყვარს. ნახვამდის, ქალბატონო.

— მშვიდობით, ჩემო ბავშვო.

ბილი კართან შედგა და თქვა:

— ძალიან მეცოდება არვი, ქალბატონო, ღმერთმანი! ძალიან მეცოდება. ნახვამდის და გამადლობთ.

ზღურბლთან შეშინებული ბავშვი იჯდა, რომელიც ბილს უყურებდა დიდი, ცრემლებით სავსე თვალებით. ბილმა თავზე ხელი გადაუსვა და უთხრა:

— მალა ასწი თავი, ბავშვო.

ინგლისურიდან თარგმნა
ციალა ხაჩიძე





იქვესადაც და ვიკო

ნახ. გ. ჩირინაშვილისა

გლადიატორისა და ვეფხის ბრძოლა

აფრიკის ღია ცის ქვეშ, ალექსანდრიის მახლობლად, სა-
განგებოდ მოწყობილ მოედანზე, ფართო აბრეშუმის ერთიან-
ნი, ვაშლილი კარავი მიწაში ღრმად ჩასობილ სვეტებზე აბ-
რეშუმისავე ბაბთებით იყო დამაგრებული. სვეტების თავზე
შუბთა მოგარაყებული წვერები მზის სხივებზე თვალის-
მომჭერლად ბრწყინავდა. ეს უზარმაზარი ტილოს თაღი,
რომელიც მაყურებელთა თავზე იყო დაკიდული, ცირკს
წარმოადგენდა.

ცირკის შუა ადგილას მოწყობილი არენის თავზე, ღიად
დატოვებულ საპიროდან სინათლე ყველაფერს თანაბრად
ფენიებოდა და თვალთახედიდან არაფერი არ იკარგებოდა.

სამოცი ათას მაყურებელს მოეყარა თავი. ყველას თავისი
ადგილი ეკავა. ამდენივე მაყურებელი სანახაობის გარეთ
იყო დარჩენილი. მათი ხმაური და ფრიაბული ამბოქრებ-
ბული ზღვის ტალღების ბორცვას ჰგავდა. მათი დაოკება
შეუძლებელი იყო. ახალ-ახალი იერიშებით ცდილობდნენ,
რაღაც არ უნდა დასვდომოდით, ცირკის შივნით შეიღწიათ.

ყველაფერი მზად იყო. ურუანტლის მომგარელება დროულ-
მა მაყურებელს ამცნო გალის კარის გაღება და საოცარი
მსტიცი უკვე არენაზე გამოჩნდა. ვეფხის ღრიალს ათასობით
მაყურებელთა ხმაური შეუერთდა. სანახაობას მოაქცერდა
ხალხი. იქ, არენის ერთ მხარეს, სავანგებოდ მოყრილ ქვი-
შაზე, შიველი კაცი წამოწოლილიყო, თითქოს ზახებულის
პაპანაქებაში მუშაობით დაღლილი ჩრდილში ისვენებდა.
არენის მეორე მხარეს კი ვაშმაგებული, სისხლმორყურებუ-
ლი ვეფხელების მეფე, თითქოს აქ არაფერიყო, მრისხანედ
გამოიყურებოდა.

მაყურებლები მოუთმენლად ელოდნენ სერიის დაწყებას.
არენის „ჰემირები“ კი ჯერ არ ამირებდნენ შემახს. გაისმა
მაყურებელთა გამაყურებელი ძახილი:

— შუბი, შუბი უჩხვლიტებ გლადიატორს და წამოაგეთ...
ხალხის ამ ძახილზე ცირკის მოსამსახურენი დაუყოვნებ-
ლივ მთავახლოდნენ არენაზე მხარეთმოვე წამოწოლილი
გლადიატორს და შუბებით ჩხვლიტა დაუწყეს. ბედისაგან
განწირული უუფლებო ადამიანი განრისხებული წამოიჭრა,

იცა მისკენ მომართულ შუბს, გამოპოლიჯა ხელიდან, შუა-
ზე გადალექა, ერთი ნატეხი მძლავრად მიანარცხა მოხელეს,
რომელიც გულწასული იქვე დევდა. მეორე წამახვილებული
წაწოლით კი მოწინააღმდეგისაკენ გაემართა. ატყდა ხმაური
და ხმაურს გალიებში დამწყვედული მხეცები გულშემწარავი
ღრიალით გამოეხმაურნენ.

გლადიატორი მძიმედ მიაბიჯებდა არენაზე, ხან შეჩერდებო-
და, ათვალთებდა დიდებულთა ლოყებს, მკლავებს დაბ-
ლა ხრიდა და შუბის წვერით ჩიჩქნიდა იმ მიწას, რომელიც
ჩამდენიმე წამის შემდეგ თავისი სისხლით უნდა მოერწყო.

გლადიატორის ახოვანმა და ვუკაცურმა გარეგნობამ გააო-
ცა მაყურებლები, მისი მარმარილოსებური უწაკლო ტანის
სილამაზით მოხიბულთა ქალებმა თავი ვეღარ შეიკავეს და
ერთმანეთს უწიარებდნენ თავიანთ გულისთქმას.

ვეფხე და გლადიატორი ღირსეული მეტოქენი გამოდგნენ.

დღევნელი წესის თანახმად მხეცებთან მებრძოლს არავი-
თარი იარაღი არ უნდა ჰქონოდა. როდესაც მაყურებლებმა
გლადიატორის ხელში შუბის ნატეხი შენიშნეს, ერხამად
იყვირეს:

— გლადიატორს რად უნდა იარაღი, ვეფხთან უიარაღოდ
უნდა იბრძოლოს!

გლადიატორმა, რომელიც შუბის ნატეხს ხელში ათამა-
შებდა, შესძახა:

— ვისაც გული ერჩის, მოხრბანდეს და თვითონ წაიღოს
ეს იარაღი.

მაყურებელთა ხმაური კიდევ უფრო გაძლიერდა. გლადია-
ტორმა ზიზღით მიმოალო თვალი სერიისათვის მოსულთ-
ხელში შეტრჩენილი „იარაღი“ ნამსხვრევებად აქცია, და
მოთლი ძალიონით გადაისროლა. ვეფხი, რომელიც ამ დროს
არენის ტყინის სვეტებზე ცხილებსა და კლანქებს იღვსავდა,
ბრძოლაში ჩაება.

ვეფხმა იგრძნო თუ არა შუბის ნატეხების შეხება, სწრა-
ვად შეტრიალდა. არენის შუაზე მდგომი განწირული მსხვერ-

პლის დანახვაზე, ელვისებური სისწრაფით გაჰქანდა. გლა-
ლატორი, რომელმაც კარგად იცოდა მხეცის პირფული თავ-
დასწმის ახმავე, სწრაფად გაწვა მიწაზე და მოწინააღმდეგის
პირველი იერიში აიცილინა. ვეფხმა ვერ შეიკავა თავი და
მთელი ძალით დაენარცხა არენის მეორე მხარეზე. პირ-
ველი მარცხით პირამეზებულ მხეცი სწრაფად წამოხ-
ტა და უფრო გაშმაგებით გაჰქანდა მსხვერპლისაკენ. გლა-
ლატორმა ამჯერადაც მოხერხებულად აიცილინა ვეფხის
თვალახმა. მხეცი მეორედ დაენარცხა მიწაზე, ვაცოფდა,
თვალთავან ციცქლს აფრქვევდა, არ მოლოდა უთლაგო
მსხვერპლისაგან ამგვარ ხრიკებს. კიდევ სცადა მოკლე ნახ-
ტომი და შესამდეც ეცვითა შიშველ ადამიანს. მაგრამ გლა-
ლატორმა შესამდეც მოატყუა ძლიერი მოწინააღმდეგე.

ვეფხი შესამდეც მოწყვეთით დაენარცხა მიწაზე, წამოდგა,
ბონუსხველი თვალებით დაუწყო გლალატორს ცქერა. გლა-
ლატორი დინჯად იდგა პირვანდელ ადგილზე, გულზე ხე-
ლები დაეკრია, თითქოს აღარავითარი წინააღმდეგობის
გაწყევას აღარ აპირებდო. ვეფხმა გადაწყვიტა, რომ სუსტი
არსება ბედს დამორჩილდა. პირდაღებული, კლანჭებდადმოყ-
როლი, კულდამართული, თვალბდასისხლიანებული, ნელი
ნახიჯით გაემართა გლალატორისაკენ. მაგრამ შეიცვალა
მოწინააღმდეგეთა როლები. ამჯერად ელვისებური ნახტო-
მით, ვეფხს გლალატორი დაესხა თავს. აღფრთოვანდნენ
მაყურებლები.

უთანასწორო ბრძოლა დიდხანს არ გაგრძელდებულა, ბო-
ლოს, როდემაც გლალატორმა კარგად მოქანცა ვეფხი და
აღარც საქრობდა გამხნევების მაყურებელთაგან, იგი დინ-
ჯად და მოთმინებით დაელოდა ვეფხის გადაწყვეტ თავ-
დასხმას.

თავის უტყუარ გამარჯვებამ დაარწმუნებული ვეფხი კმა-
ყოფილი, ყრუ ღმუილით ეცვითა მსხვერპლს. ვეფხი უქანა
ფტებზე შეტრდობდა, ბრქვალებით მაგრად ჩაეჭიდა გლალა-
ტორის შიშველ მხრებს და პირდაღებული მოემსახა მის
შესამუსკრავად, რამაც მაყურებელთა შორის შებრალებისა
თუ სიხარულის ძახილი გამოიწვია.

უცებ გლალატორმა თავი უქან გადასწია და მკლავები
რკინის სალტებელ შემოარტყა ვეფხს კისერზე, ისე ძლიერად,
რომ მხეცმა პირის ოდნავი დაღებაც კი ვერ შეძლო, რათა
ცოტა პერიო მიინც ჩახუნთებ, რომ უცხად არ გაფუდულიყო.
ვეფხის კლანჭებით მიყენებული ღრმა ჭრილობიდან გლა-
ლატორის სისხლი მოსჩქედდა, სისხლისაგან იცლებოდა, მალ-
ლონე ელიოდა, ამიტომ გადაწყვეტდა იგრებდა ღონეს, რა-
თა ერთი დარტყმით საბოლოოდ გაენადგურებინა მოწინააღ-
მდეგე. გამწარებული გლალატორი მთელი ტანით აღმწარ-
თა, ფეხის წერებზე შედგა, სულმხუთული მხეცი აწიდა,
მიწაზე მძლავრად დაანარცხა, მთელი სიმძიმით თვითონაც
ზედ დაეცა და მთელი შიგნული წაუნგრია. ვეფხს პირიდან
სისხლის ჩქერი წასკდა. მომავლდება მხეცმა თავი წამოსწია.
ერთხელ კიდევ გაიბრძოლა, მაგრამ ეს გაბრძოლება საწი-
ნააღმდეგო კი არა, სასიკვდილო იყო.

მისმა მძლავრმა კუნთებმა შეწყვიტეს მოძრაობა. ნახე-
რად ღიად დარჩენილი პირი ქვეშით ამიჯნებოდა, თვალბ-
დაუბუქული, კბილბდაკრეკილი გასუნგლებს მიედ უხუ-
ლად ეგდო არენაზე.



სამოცი ათასი მაყურებლის ერთობლივმა შეძახილმა გა-
ახნუნა გლალატორი. იგი მარად წამოდგა ფტზე, დასტა-
ცა ხელი ვეფხა მხეცის უხსლო ღმუს, აიტაცა პერში და
მბრძანებლის ლოყისაკენ ვასტყორცნა, თითქოს გამარჯვება
მიუღოცო.

ფრანგულიდან თარგმნეს მ. ქაპოტარამ და შ. ბერიძემ

ზექნიკის სამყაროში

მომრავი ქუჩა

ბავშვებო! ზოგიერთი თქვენგანი შეამჩნივდა რა სწრაფად გადააქვს ავური, სილა ან სხვა საშენი მასალა მანქანას, რომელსაც ტრანსპორტიორს უწოდებენ. თქვენ ალბად იხიცი იცით, რომ მეტროებში ჩასახვლელად მოძრავი კიბეები — ექსკალატორებია გამოყენებული. ნუთუ არ შეიძლება მსგავსი ტრანსპორტიორების მოწყობა ქალაქის ქუჩებში? ხომ არ მოხერხდება ქალაქის ტრანსპორტის შეცვლა მოძრავი ქუჩებით? ასეთი კითხვა ჯერ კიდევ მეოცე საუკუნის დასაწყისში დაებადათ ინიერებს. მაგრამ მოძრავი ქუჩების მოწყობა ადვილი არ იყო გამოდგა. გამომგონებლებს მთელი რიგი სიძინელები გადაეღობათ წინ. მაგრამ, მოუხედავად ამისა, სხვადასხვა დროს: ნიუ-იორკში, პარიზში, ლონდონში, ბერლინში სცადეს მოძრავი ქუჩების აგება, მაგრამ იმხანად ტექნიკა არ იყო საკმარისად განვითარებული, ამიტომ ეს გზები სრულყოფილი ვერ გამოდგნენ და მალე პრაქტიკული მნიშვნელობა დაკარგეს.

ახლა სამგზავრო ტრანსპორტიორების მოწყობა უკვე რეალურ საქმედ იქცა და მათი აგება ბევრ ქალაქშია განხორციელებული.

უახლოეს ხანებში ქალაქ კიევიში ააგებენ საბჭოთა კავშირში პირველ მოძრავ ქუჩა-ექსკალატორს.


მოძრავი ქუჩა-ექსკალატორი რამდენიმე მონაკვეთისაგან შედგება, პირველი მონაკვეთის სიჩქარე შედარებით ნელია, ამიტომ ადამიანს ქუჩის უძრავი ნაწილიდან მასზე გადასვლა არ გაუძნელდება. პირველს მეორე მონაკვეთი მოსდევს, მისი სიჩქარე პირველზე გაცილებით მეტია. მგზავრი მექანიკურად გადადის მასზე. შემდეგ მგზავრს ტრანსპორტიორის მეორე მონაკვეთი ეცლება ფეხიდან, იწყება მესამე, უფრო სწრაფ-მოძრავი მონაკვეთი. ასე, რამდენიმე მონაკვეთის გავლის შემდეგ მგზავრი ტრანსპორტიორის ძირითად სწრაფ-მოძრავ ნაწილზე ხვდება. კონვეიერიდან მოსვლა ასეთივე ხერხით იოლად და დაუბრკოლებლად ხდება. — კონვეირი

თანდათან, მონაკვეთების მიხედვით ანუ, ლეგს სიჩქარეს.

მოძრავი ქუჩების მოწყობა განსაკუთრებით იმ ქალაქებშია ხელსაყრელი, სადაც ბევრი ადამრთებია.

ადვილი წარმოსადგენია რა დიდი უპირატესობა ექნება მოძრავ ქუჩებს, ქალაქის ტრანსპორტის სხვა სახეებთან შედარებით:

...ადარ იქნება საპირო ტრანსპორტის ლოდინი; კონვეირი ავტომატურად იბუშავებს; მას არ დასჭირდება: მძღოლი, გარაჟი, დეპო; ბევრად ნაკლებ ელექტროენერგიას დახარჯავს ვიდრე ტრამვაი ან ტროლეიბუსი; მისი აშენება 15-ჯერ ნაკლები დაჯდება მეტროსთან შედარებით; ამასთან მას ექნება კიდევ ერთი დიდი დადებითი მხარე: თითქმის უხმანორობა იმომრავებს და ქალაქს გაანთავისუფლებს ზედმეტი და დიდი ხმაურისაგან, რომელსაც ქუჩის ტრანსპორტი იწვევს.



მომრავი ქუჩა — ემსალატორის სქემა



ბროსომო ედინიკი

ნახ. შ. ცხადაძისა

რატომ სძინავს კურდღელს თვალდას

(ზ ლ ა პ ა რ ი)

თავდაბოლოდ დედამიწაზე არავინ იცოდა თუ რა იყო შიში, ის საღრავ სიბნელეში თვლებდა თავისთვის და დღისით გამოსვლას ვერ ბედავდა.

ერთბელ ღამემ მოიბოძა ის თავისი აგზნაანი მოცოქეული და უთხრა:

— რას მობუზულხარ ერთ აღვილას ასე უსაქმოდ, წაღი, შეშოიარე მთელი ცა და სნეულთი და, ვინც კი შეგზვდება, ყველას თვალსა და გულში ჩაუძვებრი, დიბორჩილუ.

ეს რომ მზემ გაიგო, უზომოდ განრისხდა, მაშინვე გაღმოდდა ცის კიდულე და ღამეს ცეცხლის ისრები დაუშინა, თანაც ყველა ცოცხალი არსება გააფრთხილა: ის ღამის უწორ არსება — შიში — ახლას არავინ მიიკაროს, თორემ სასტიკად დაესჯიო.

შიშმა მიიწე თავისი არ დაიშალა. მზეს ღრუბლები ჩამოეფარა თუ არა, გამოძვრა ბნელი საღამოდან და დაიწყო წაწეული. პირველდ მთას მიაღდა და თხოვა:

